ფანტაზია ჯულიეტასთვის (III ნაწილი)

ავტორი მაია გოგსაძე

ჭეშმარიტი ხელოვანისთვის უცხოა ამპარტავნება. მას კარგად ესმის, რაოდენ ამოუწურავია ხელოვნება და რა შორსაა მიზანი.

ლ. ვ. ბეთჰოვენი

სიყრუე აბსოლუტური გახდა. 1815 წლის შემოდგომიდან კომპოზიტორი ხალხთან მხოლოდ წერილობით ურთიერთობდა. „მეგობრები აღარ მყავს, სრულიად მარტო ვარ ამქვეყნად“, – წერს ბეთჰოვენი 1916 წლის ერთ-ერთ ჩანაწერში. საზოგადოებას გარიდებული, სიმშვიდეს მხოლოდ ბუნების წიაღში პოვებდა. მისი დიდი ხნის მეგობარი ტერეზა ფონ ბრუნსვიკი იხსენებდა, რომ ბუნება ბეთჰოვენის ერთადერთი თავშესაფარი იყო და რომ მანამდე არავინ ენახა, ვისაც ასეთი სინაზით ეყვარებოდა ყვავილები და ღრუბლები... თითქოს მათით ცოცხლობდაო. ერთ-ერთ ჩანაწერში თავად კომპოზიტორიც აღიარებდა: „მე შემიძლია, ხე ადამიანზე მეტად მიყვარდეს“.

გავიდა რამდენიმე წელი და 1821 წელს ჯულიეტა ავსტრიაში დაბრუნდა. ბეთჰოვენი მოინახულა და ტირილით გაიხსენა ის შესანიშნავი დრო, როდესაც კომპოზიტორი მისი მასწავლებელი იყო. შემდეგ თავისი ოჯახის ცხოვრებისეულ სირთულეებზე მოუთხრო და ფულადი დახმარება სთხოვა. კეთილშობილმა მაესტრომ ჯულიეტასთვის მნიშვნელოვანი თანხა გაიღო, მაგრამ შემდგომი შეხვედრები აკრძალა. ბეთჰოვენი გულგრილი ჩანდა, მაგრამ ვინ იცის, რა ხდებოდა სინამდვილეში მის მრავალგზის იმედგაცრუებით განაწამებ გულში...

1826 წლის შემოდგომაზე ბეთჰოვენი ავად გახდა. ურთულესმა ოპერაციებმა და დაუძლურებულის მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო. ლუდვიგმა მთელი ზამთარი საწოლში გაატარა. სრულიად ყრუ, ძალიან განიცდიდა, რომ მუშაობის გაგრძელება არ შეეძლო.

და მაინც, არავითარ ძალას არ შეეძლო, გაეტეხა მისი დაუმორჩილებელი სული, საკუთარ ტანჯვასაც რომ დასცინოდა. „კომედია დასრულდა“, – თქვა და გარდაიცვალა ხელოვნებაში ყველაზე გმირული ძალა, მუსიკის გენიოსი ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი. ის ამ ქვეყნიდან 1827 წლის 26 მარტს, ქარბუქიან დღეს წავიდა. რა სამწუხაროა, რომ მისი ცხოვრებაც ავდრიან დღეს ჰგავდა.

ბეთჰოვენის გარდაცვალების შემდეგ საწერი მაგიდის საიდუმლო უჯრაში იპოვეს წერილი, რომელშიც კომპოზიტორი წერდა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯულიეტას მის ცხოვრებაში, როგორ ჩამოექცა სამყარო თავზე მისი ღალატის გამო, როგორ დაკარგა აზრი მისმა ცხოვრებამ.

„უკვდავ სატრფოს

ჩემო ანგელოზო, ჩემო ყველავ, ჩემო მევ... სადაც არ უნდა ვიყო, შენ ჩემთან ხარ. განა ეს ცხოვრებაა?! უშენოდ?! ასე ახლოს! ასე შორს! ღმერთო ჩემო, როგორ ვიცხოვრო უშენოდ?! მე სიცოცხლე მხოლოდ შენს სიახლოვეს შემიძლია, სხვაგვარად ვერ ვიცოცხლებ! რა ნაღველი, მწუხარება და ცრემლები მომგვარა უშენობამ, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ყველავ, ჩემო მევ...“

შემდეგ ბევრს იკამათებენ იმის შესახებ, ვის ეძღვნებოდა ეს უსტარი. კომპოზიტორის ცხოვრებაში იყო კიდევ ერთი ქალი – ტერეზა, მაგრამ არსებობს ფაქტი, რომელიც ჯულიეტა გვიჩარდიზე მიანიშნებს: წერილთან ერთად ინახებოდა უცნობი ოსტატის მიერ შესრულებული ძალზე მცირე ზომის პორტრეტი და „ჰაილიგენშტადტის ანდერძი“.

ასეა თუ ისე, სწორედ ამ უიღბლო სიყვარულის წყალობით შეიქმნა უკვდავი შედევრი „მთვარის სონატა“.

[იხილეთ ვიდეოს ბმული]

აი, რას წერს ერთი ცნობილი კომპოზიტორი და მუსიკის კრიტიკოსი: „სიყვარულის ძეგლი, რომლის შექმნაც ამ სონატით ბეთჰოვენს სურდა, ბუნებრივად გადაიქცა მავზოლეუმად. ისეთი ადამიანისთვის, როგორიც ბეთჰოვენი გახლდათ, შეუძლებელია, სიყვარული ყოფილიყო რამე სხვა, გარდა საიქიო იმედისა და სულიერი გლოვისა აქ, დედამიწაზე“.

მუსიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები კომპოზიტორისთვის უმძიმეს პერიოდში შეიქმნა. სონატის წერა ბეთჰოვენმა აღფრთოვანებითა და მთრთოლვარე იმედით დაიწყო და სრულ მრისხანებაში დაასრულა.

1802 წელს ბონში გამოქვეყნებული „მთვარის სონატის“ სათაურის ქვეშ იკითხებოდა კომპოზიტორის მინაწერი: „ეძღვნება გრაფინია ჯულიეტა გვიჩარდის“. სონატის მიძღვნით ბეთჰოვენმა სამუდამოდ უკვდავყო ჯულიეტას სახელი.



საინტერესოა, იყო კი ჯულიეტა ისეთი, როგორიც ლუდვიგს წარმოედგინა? თავს დატეხილი უბედურების მიუხედავად, ბეთჰოვენი ადამიანებში მაინც საუკეთესოს ხედავდა და სისუსტეებს მიუტევებდა. კომპოზიტორისთვის ჯულიეტას ხატებაში ალბათ ქალის იდეალმა შეისხა ხორცი.

ბეთჰოვენის ბუნებაში იყო რაღაც პურიტანული. თამამი აზრები და საუბრები მას ყოველთვის აფრთხობდა. სიყვარული მისთვის სიწმინდეს ნიშნავდა. ამბობენ, რომ ბეთჰოვენი მოცარტს ვერ პატიობდა თავისი გენიის დამცირებას „დონ ჟუანის“ შექმნით. სწორედ ბეთჰოვენის მსგავსნი ხდებიან ყალბი სიყვარულის მსხვერპლნი და ეს მოსაზრება ლუდვიგის შემთხვევაში სავსებით გამართლდა.

ორ საუკუნეზე მეტია, რაც ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის „მთვარის სონატას“ მთელ მსოფლიოში სწავლობენ და ასრულებენ. ალბათ ძნელად იპოვით ადამიანს, ეს ნაწარმოები ერთხელ მაინც რომ არ მოესმინოს. ძნელი წარმოსადგენია, მუსიკალური სკოლის თუნდაც ტანჯვა-წამებით დამთავრების მიუხედავად, მოსწავლეს ერთხელ მაინც არ ეცადოს “მთვარის სონატის“ პირველი ტაქტების გარჩევა-დაკვრა. ამ დროს, უმეტესობას შესაძლოა წარმოდგენაც არ ჰქონდეს, რამხელა დრამა იმალება ყოველი ნოტის უკან.

„Quasi una Fantasia“ („ფანტაზიის მსგავსი“) ბეთჰოვენის რიგით მეთოთხმეტე საფორტეპიანო სონატაა. შეგახსენებთ, კომპოზიტორს ფორტეპიანოსთვის სულ 32 სონატა აქვს შექმნილი.

სათაური კი პრაქტიკულად შემთხვევით, მეტიც – სავსებით პროზაულად გაჩნდა, როდესაც კომპოზიტორის გარდაცვალების შემდეგ მისმა მეგობარმა, გერმანელმა მუსიკალურმა კრიტიკოსმა, პოეტმა და ლიბრეტისტმა ლუდვიგ რელშტაბმა, სონატის პირველი ნაწილი შეადარა შვეიცარიაში მდებარე ფირვალდშტეტის ტბის პეიზაჟს მთვარიან ღამეში.

სინამდვილეში „მთვარის სონატას“ არაფერი აქვს საერთო მთვარის შუქთან. ეს სამგლოვიარო მარშია სიყვარულზე, რომლითაც კომპოზიტორი უდიდეს გრძნობას გამოეთხოვა.